საქართველოს სახალხო დამცველი

სახალხო დამცველის აპარატის
ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი

სახალხო დამცველის აპარატი აფასებს, დაცულია თუ არა ქვეყანაში ადამიანის უფლებები. სახალხო დამცველი თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი.

სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა ბავშვის უფლებების დაცვაა. სწორედ, ამიტომ შეიქმნა ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი.

რას აკეთებს ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი?

ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი აფასებს, ქვეყანაში არის თუ არა დაცული ბავშვის უფლებები.

როგორ ვმუშაობთ ბავშვის უფლებებზე?

- ვხვდებით ბავშვებს, ვესაუბრებით მათ უფლებებზე და ვისმენთ მოსაზრებებს;
- ვხვდებით ბავშვების მშობლებს, ასევე ყველა იმ ადამიანს, რომელიც ბავშვთან მუშაობს და ვესაუბრებით, როგორ უნდა დაიცვან უკეთ ბავშვის უფლებები;
- მივდივართ ყველა დაწესებულებაში, რომელშიც ბავშვები არიან, ვათვალიერებთ გარემოს, ვეცნობით ყველა დოკუმენტს და ვაფასებთ, ხომ არ ირღვევა მათი უფლებები;
- ვაფასებთ, სახელმწიფოს მოქმედებები შეესაბამება თუ არა ბავშვის უფლებებს;
- ვხვდებით ბავშვების უფლებებზე მომუშავე ადამიანებს და მათთან ერთად ვმსჯელობთ, რა უნდა გავაკეთოთ ბავშვების უფლებების უკეთ დასაცავად;
- თუ გავიგეთ, რომ ბავშვის უფლებები ირღვევა, მივმართავთ ყველა შესაბამის უწყებას და ვიკვლევთ მის მდგომარეობას.

თუ ვფიქრობთ, რომ ბავშვის უფლებები დაირღვევა, გავცემთ *რეკომენდაციას*, სადაც ვწერთ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ბავშვის უფლებები უკეთ იყოს დაცული.

თუ ფიქრობ, რომ შენი ან სხვა ბავშვის უფლებები ირღვევა, ან უბრალოდ, გინდა, მეტი გაიგო ბავშვის უფლებების შესახებ შეგიძლია, მოგვმართო.

როგორ?

- ნებისმიერ დროს დაგვირეკე ცხელ ხაზზე - **1481**
- მოგვწერე **Facebook**-ზე - „საქართველოს სახალხო დამცველი“ ან **Instagram**-ზე - „public_defender_georgia“
- მოგვწერე ელექტრონულ ფოსტაზე - **info@pdo.ge**
- აქვე, შეგიძლია, შეავსო ძალიან მარტივი წერილის ფორმა, რომელიც სულ რამდენიმე კითხვისგან შედგება და დაგეხმარება, გვიამბო, რა გაწუხებს ან გაინტერესებს
- უფლება გაქვს, სახალხო დამცველის წარმომადგენელს პირისპირ შეხვდე და ცალკე ესაუბრო
- შეგიძლია, **ანონიმურად** მოგვმართო, არ გვითხრა შენი სახელი და ისე გვიამბო რა გაწუხებს, ან მერე ითხოვო ანონიმურობის დაცვა
- თუ დაგჭირდა, ჩვენი ოფისი არის თბილისში მის: **დავით აღმაშენებლის გამზირი N80**
- სახალხო დამცველის ოფისები, ასევე მდებარეობს რეგიონებში: ახალქალაქში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, მარნეულში, მესტიაში, ოზურგეთსა და ქუთაისში

სხვა უწყებების ცხელი ხაზები, სადაც შეგიძლია, დარეკო თუ დაგჭირდა

- საგანგებო და გადაუდებელი დახმარება - **112**
- ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი - **111**
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი - **116 006**

წერილი სახალხო დამცველს

1. გაგვეცანი, გვითხარი შენი სახელი და გვარი. თუ გაქვს სურვილი, გვითხარი, რამდენი წლის ხარ და სად ცხოვრობ?

---

2. მოგვიყევი რა მოხდა, რა გაწუხებს?

---

3. შენი აზრით, ვინ მოგექცა შენ ან სხვა ბავშვს უსამართლოდ?

---

4. გსურს თუ არა, რომ ვინმემ იცოდეს ჩვენ რომ მოგვწერე? (შენმა მშობლებმა, ოჯახის წევრებმა, სხვა ბავშვმა ვისაც იცავ ან იმ ბავშვის მშობლებმა და ა.შ.)?

☐ კი ☐ არა

5. რა გსურს გავაკეთოთ შენი ან სხვა ბავშვის დასახმარებლად?

---

6. ამ წერილის დაწერის თარიღი აღნიშნე აქ

☐ რიცხვი ☐ თვე ☐ წელი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

საინფორმაციო ბროშურა მომზადდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ბროშურის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველის აპარატი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.